სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1
2025 წლის 30 ოქტომბერი

ქ. სამტრედია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში კომისიების წევრთა რაოდენობა (შემადგენლობა) განისაზღვროს 15 საკრებულოს წევრით, ხოლო საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები საკრებულოს თითოეულ კომისიაში განისაზღვროს შემდეგნაირად:

ფრაქციები:

ა) ფრაქცია „ქართული ოცნება“ – 13 წევრი;

ბ) ფრაქცია „ხალხის ძალა“ – 1 წევრი.

მუხლი 2

საკრებულოს იმ წევრებს, რომლებიც გაწევრიანებულნი არ არიან არცერთ ფრაქციაში, თითოეულ კომისიაში წევრის წარსადგენად განესაზღვროთ 1 (ერთი) კვოტა.

მუხლი 3

დადგენილება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. №1), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4

დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ვაჟა სტურუა**